სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU


№ 5000581325

04/02/2025

5000581325

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა "-ს გენერალური დირექტორის მოადგილეს ბატონ გრიგოლ კობიაშვილს

ბატონო გრიგოლ,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N00036739 მომართვის (ბიუროს 2025 წლის 22 იანვრის რეგისტრაციის N1000434125) საფუძველზე, გიგზავნით N000656325 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 03 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი


თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ა
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2ª I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

5000581325

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ, ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი ____________

თარიღი 4.02.2025 (ხელმოწერა) ბ.ა

NATIONAL FORENSICS BUREAU

000656325

**ექსპერტის დასკვნა № 000656325**

## გაფრთხილება

სასაქონლო ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

## ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა:

**დამნიშნავი:**

ორგანიზაცია: სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა "

თანამდებობა: გენერალური დირექტორის მოადგილე

მისამართი:

სახელი და გვარი: გრიგოლ კობიაშვილი

საფუძველი: მომართვა

**შემსრულებელი ექსპერტები:**

ალექსანდრე ფურცელაძე / სასაქონლო ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 15 წლის სტაჟით.შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ISO/IEC 17024 სტანდარტის მიხედვით გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი N A-1492; შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ISO/IEC 17024 სტანდარტის მიხედვით გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი N P-1041;

## ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

„გთხოვთ, ჩვენს შორის გაფორმებული, 2024 წლის 17 დეკემბრის №13/25-11 ხელშეკრულების ფარგლებში, დაგვიდგინოთ სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელატას“ სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე,(მისამართი ქვემო ფონიჭალა სამხედრო ქალაქი №179, ფონიჭალის სადემილიატრიზაციო ბაზა) განთავსებული ჩამოწერილი, ამორტიზირებული და შემდგომ ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი საბურავების ერთეულის -ერთი ცალის საწყისი სარეალიზაციო ღირებულება“

შემოსვლის თარიღი: 22/01/2025 წ

გასვლის თარიღი: 04/02/2025 წ

## დასკვნა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელატას“ სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე,(მისამართი ქვემო ფონიჭალა სამხედრო ქალაქი №179, ფონიჭალის სადემილიატრიზაციო ბაზა) განთავსებული ჩამოწერილი, ამორტიზირებული და შემდგომ ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარ საბურავებს საბაზრო ღირებულება არ გააჩნია.

ალექსანდრე ფურცელაძე

## გამოკვლევა

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილია სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელატას“ სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე,(მისამართი ქვემო ფონიჭალა სამხედრო ქალაქი №179, ფონიჭალის სადემილიატრიზაციო ბაზა) განთავსებული ჩამოწერილი, ამორტიზირებული და შემდგომ ექსპლუატაციისათვის

ექსპერტის დასკვნა № 000656325

000656325

გამოუსადეგარი საბურავები. დასადგენია საბურავების ერთეულის-ერთი ცალის საწყისი სარეალიზაციო ღირებულება.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილი გამოსაკვლევი ობიექტის ამსახველი ფოტომასალის და მათი ინფორმაციის (წერილის № MOD 9 25 00036739) მიხედვით საბურავები სხვადასხვა დიამეტრისაა (R14;R15:R16...). ისინი დეფორმირებულია, ექსპლუატაციის ვადა გასული აქვთ. გამოუსადეგარი საბურავები განთავსებულია დამკვეთის სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ.

ექსპერტის წინაშე დასმული საკითხის, გადაწყვეტის მიზნით ჩატარდა კვლევა მსაგავსი გამოუსადეგარი საბურავების სარეალიზაციო (საუტილიზაციო) ფასების დასადგენად. საქონლის საბაზრო ფასად ითვლება ფასი, რომელიც ყალიბდება აღნიშნული პერიოდისათვის მომსახურების ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში მსგავსი) საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების შედეგად დადებული გარიგების საფუძველზე. საქონლის ბაზრად ითვლება მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება გამყიდველის/მყიდველის შესაძლებლობებით, მნიშვნელოვანი დანახარჯის გარეშე გაყიდოს/შეიძინოს საქონელი გამყიდველისთვის/მყიდველისათვის უახლოეს ტერიტორიაზე საქართველოში. ყურადღება გამახვილებულია ანალოგიური საქონლის ყიდვა-გაყიდვის საბაზრო ინფორმაციაზე, რომელიც განხორციელდა ტიპიურ საბაზრო პირობებში და მაქსიმალურად მიახლოებულია შეფასების თარიღთან. ქვეყანაში გამოუსადეგარი საბურავები სერიოზულ გამოწვევას ქმნის, საერთაშორისო სტანდარტი მათ წესების მიხედვით გადამუშავებას ითვალისწინებს, თუმცა უტილიზაციის ნაცვლად საქართველოში ძველი საბურავები სხვადასხვა ტერიტორიაზეა მიმოფანტული, რაც ჰაერის გარდა ნიადაგს და გარემოსაც სერიოზულად აბინძურებს. ექსპერტების მიერ, ინტერნეტისა და საბურავების გადამამუშავებელი კომპანიებისაგან, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მსგავსი ტიპის საბურავებს საბაზრო ღირებულება არ გააჩნია.

ყოველივე ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელატას" სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე,(მისამართი ქვემო ფონიჭალა სამხედრო ქალაქი №179, ფონიჭალის სადემილიატრიზაციო ბაზა) განთავსებული ჩამოწერილი, ამორტიზირებული და შემდგომ ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი საბურავებს საბაზრო ღირებულება არ გააჩნია.

ალექსანდრე ფურცელაძე

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა კაციტაძე

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით ამაშუკელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: გიორგი ჩადუნელი

# ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6

3000639125

**მიღება-ჩაბარების აქტი № 3000639125**

ასლი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეგიონი | თბილისი | დასრულების თარიღი | 04/02/2025 |

| დოკუმენტი: | | | |
|---|---|---|---|
| რეგისტრაციის ნომერი: | 1000434125 | მომსახურების ტიპი: | ჩვეულებრივი |
| რეგისტრაციის თარიღი: | 22/01/2025 | საქმის ნომერი: | |
| ხელშეკრულების ნომერი: | 2002007224 | ხელშეკრულების თარიღი: | 17/12/2024 - 31/12/2026 |
| შეთანხმების ნომერი: | | შეთანხმების თარიღი: | |
| დასკვნის ნომერი: | 000656325 | | |

| ექსპერტიზის დამკვეთი : | |
|---|---|
| სახელი და გვარი: | გრიგოლ კობიაშვილი |
| პირადი ნომერი: | |
| ორგანიზაცია: | სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა " |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 202297335 |
| თანამდებობა: | გენერალური დირექტორის მოადგილე |
| დოკუმენტის შემომტანი: | დავითი დანელია |

| შესრულებული კვლევის კოდი (საქ.მთავრობის 16.01.2023 N14. დადგენილების მიხედვით) | ობიექტების რაოდენობა | საექსპერტო მომსახურების ტარიფი კვლევის ერთეულზე | თანხა |
|---|---|---|---|
| 14013. - მოძრავი ქონების (საქონლის) საბაზრო (საცალო, საბითუმო) და საბაჟო ღირებულების განსაზღვრა | 1 | 200 | 200 |
| | | | ჯამი: 200.00 |
| | | | საბოლოო ფასი: 200.00 |

| შემსრულებელი ექსპერტ(ებ)ი (სპეციალისტი): | |
|---|---|
| ალექსანდრე ფურცელაძე | |
| სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი | (ხელმოწერა) |

**სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი / პასუხისმგებელი პირი**

(ხელმოწერა)

**მიმღები პირი**

(ხელმოწერა)

**გაცემის თარიღი** 19/02/2025

**საჭიროა ანგარიშ-ფაქტურა**